

შპს „კარგო მარკეტ გრუპ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 405371351

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი:

ფინანსური მგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება/ზარალის ანგარიშგება -----	5
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება -----	6
ძირითადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშგება -----	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	9

შპს "კარგო მარკეტ გრუპ"

ს/კ 405371351

ფინანსური ანგარიშგება
(ლარი)

შენიშვნები

31.12.2024

31.12.2023

აქტივები**გრძელვადიანი აქტივები**

ძირითადი საშუალებები	1	82,004	142,296
საინვესტიციო ქონება		-	-
ბიოლოგიური აქტივი		-	-
ინვესტიციები შეკავშირე საწარმოში		42,500	42,500
		124,504	184,796

მოკლევადიანი აქტივები

ფული და მათი ექვივალენტები	2	130,415	131,403
სავაჭრო და მოკლევადიანი მოთხოვნები	3	875,497	759,753
გადახდილი ავანსები	4	683,752	273,078
სხვა მიმდინარე აქტივები	5	291,854	147,592
მარაგები	6	425	-
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-
		1,981,943	1,311,826

მთლიანი აქტივები

2,106,447

1,496,622

მთლიანი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი(დაგროვილი მოგება)		253,388	187,508
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
		253,388	187,508

მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	7	294,556	157,667
სახელფასო ვალდებულებები	8	-	-

საგადასახადო ვალდებულებები	9	1,256	45,429
მოკლევადიანი საბანკო სესხი		-	-
საპროცენტო ვალდებულება		-	-
სხვა ვალდებულებები		35,039	34,581
		330,851	237,677
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საბანკო სესხი	10	1,334,715	529,244
ლიზინგი	11	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	12	187,493	542,193
		1,522,208	1,071,437
სულ ვალდებულებები		1,853,059	1,309,114
სულ მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		2,106,447	1,496,622

ხელმომწერი პირები:

ბაბულია ტალიაშვილი

ფინანსური დირექტორი

თამაზ ზედგინიძე

გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო

შპს "კარგო მარკეტ გრუპ"

ს/კ 405371351

**მოგება - ზარალის ანგარიშგება
(ლარი)**

		31.12.2024	31.12.2023
ამონაგები რეალიზაციიდან		17,555,276	16,562,065
მომსახურების თვითღირებულება		15,918,145	15,151,566
საერთო მოგება		1,637,132	1,410,499
სულ საოპერაციო ხარჯები			
სხვა შემოსავალი		35,236	107,952
საპროცენტო შემოსავალი		-	-
მომსახურე პერსონალის	14	1,066,368	732,218
ცვეთა და ამორტიზაცია	15	60,292	29,324
საპროცენტო ხარჯი	16	138,058	126,792
იჯარის ხარჯი	17	69,298	66,205
სხვა ადმინისტრაციული	18	202,000	144,128
		1,571,251	1,206,619
საოპერაციო მოგება		65,880	203,880
მოგება დაბეგვრამდე		65,880	203,880
წმინდა მოგება		65,880	203,880
სხვა შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		65,880	203,880

ხელმომწერი პირები:

ბაბულია ტალიაშვილი

ფინანსური დირექტორი

თამაზ ზედგინიძე

გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო

შპს "კარგო მარკეტ გრუპ"

ს/კ 405371351

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწლებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2024 წლის 1 იანვარი	-	-	187,508	187,508
წმინდა მოგება	-	-	65,880	65,880
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოს.	-	-	65,880	65,880
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	-	-	253,388	253,388

ხელმომწერი პირები:

ბაბუღია ტალიაშვილი

ფინანსური დირექტორი



თამაზ ზედგინიძე

გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო

შპს "კარგო მარკეტ გრუპ"

ს/კ 405371351

ძირითადი საშუალებების მოძრაობის უწყისი
(ლარი)

	მიწის ნაკვეთები	სხვა არამატერიალუ რი აქტივები	ავჯი და ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერუ ლი ტექნიკა	სატრანსპორ ტო საშუალებებ ი	სულ
31 დეკემბერი 2022	-	-	5,381	12,410	32,243	50,034
შეძენა	-	-	4,124	-	117,462	121,586
ცვეთა და ამორტიზაცია	-	-	2,549.1	6,093.9	20,680.8	29,324
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	-	6,956	6,316	129,024	142,296
შეძენა	-	-	-	-	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	-	-	2,590.0	3,874.0	53,828.0	60,292
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	-	4,366	2,442	75,196	82,004

31.12.2024

ნეტო საბალანსო ღირებულება

82,004

ხელმოწერილი პირები:

ბაბუღია ტალიაშვილი

ფინანსური დირექტორი

30 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო



თამაზ ზედგინიძე

გენერალური დირექტორი


შპს "კარგო მარკეტ გრუპ"

ს/კ 405371351

ფულადი სახსრების მოძრაობა
(ლარი)

	<u>31 დეკემბერი 2024</u>	<u>31 დეკემბერი 2023</u>
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>77,475</u>	<u>135,592</u>
ფულადი სახსრები საინვერსიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი ნაკადების ზრდა/კლება ფულად სახსრებსა და საბანკო ანგარიშებზე	-	-
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულად სახსრებსა და საბანკო ანგარიშებზე	77,475	135,592
	(78,463)	(55,224)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	131,403	51,035
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასასრულს	130,415	131,403


ხელმოწერილი პირები:


ბაბუღია ტალიაშვილი

ფინანსური დირექტორი

30 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო


თამაზ ზედგინიძე

გენერალური დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "კარგო მარკეტ გრუპ" (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა და საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირდა 2019 წლის 27 დეკემბერს, მისი საიდენტიფიკაციო კოდია 405371351, მისი საქმიანობაა საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვები და მასთან დაკავშირებული მომსახურება, კომპანია ახორციელებს საკონტეინერო, სახმელეთო, სარკინიგზო და ავია გადაზიდვებს, ასევე კომპანიის საქმიანობაში შედის საქართველოს შიდა ტერიტორიაზე ტვიტების გადაზიდვა სატრანსპორტო გადაზიდვების სრული პაკეტის მიწოდების მიზნით. კომპანია წარმოადგენს დამატებითი ღირებულების გადასახადით გადამხდელს რეგისტრაციის დღიდან.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი, ალ. ყაზბეგის გამზირი #12ბ. მე-3 სართული. აღნიშნული საოფისე ფართი კომპანიას აღებული აქვს იჯარით და 2020 წლის 15 ივნისიდან სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდა აღნიშნულ მისამართზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი არიან :

თამაზ ზედგინიძე - პ/ნ 01024002253	100%
-----------------------------------	------

სერგო ლეჟავა - პ/ნ 01010001095	100%
--------------------------------	------

კომპანიის დირექტორი და ერთპიროვნული მართველია თამაზ ზედგინიძე

მეკავშირე საწარმოები

შპს "კარგო მარკეტ გრუპ"-ი 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს შპს ეისიჯი როუდი"-ს 50 პროცენტიან წილს. (ს/კ 405632034)

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოში ანგარიშწორების ვალუტა არის ლარი, შესაბამისად ყველა წარმოდგენილი ანგარიში არის ეროვნულ ვალუტაში. კომპანიას გააჩნია ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, რომელიც თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის არსებულ ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით, ანგარიშის მომენტისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივი და სავაჭრო მოთხოვნები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით, ანგარიშწორების დროს წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე

უცხოური ვალუტის კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2023 წელი - 1 აშშ დოლარი / ლარი - 2,6894

1 ევრო/ლარი - 2,9753

31 დეკემბერი 2024 წელი - 1 აშშ დოლარი / ლარი - 2,8068

1 ევრო/ლარი - 2,9306

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს ტერიტორიული მდებარეობა კომპანიას ხელს უწყობს გაზარდოს საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების წილი მის ძირითად საქმიანობაში, მისი გადაზიდვების 95% მოდის არარეზიდენტი კომპანიებისთვის გაწეულ მომსახურებაზე, შესაბამისად კომპანიის შემოსავლის 97% გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან, რაც სტიმულს აძლევს კომპანიას გააფრთხოს ბიზნესი. მენეჯმენტის მხრიდან ასევე დადებითადაა შეფასებული საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი პირობები საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების ხელშეწყობისთვის.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს.

ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოყვებულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფასს_თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგი შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებისგან.

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებებზე, მენეჯმენტის შეფასებით კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება, სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში როდესაც მოხდა მათი გადახედვა.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

აქტივებისა და ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიანად.

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი გრძელვადიანი და მოკლევადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია როდესაც მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან მოხმარება მისი საოპერაციო ციკლის პერიოდში, ანუ 1 წელზე მოკლე პერიოდში, ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია თუ მისი დაფარვა დაგეგმილია ჩვეულებრივი საოპერაციოს ციკლის პერიოდში, ან მისი დაფარვა დაგეგმილია ამ ვალდებულების წარმოშობიდან თორმეტ თვიან პერიოდში, ყველა სხვა ვალდებულება გრძელვადიანია

5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 2)

	<u>31.12.2024</u>	<u>31.12.2023</u>
<u>ფული და მათი ექვივალენტები</u>	<u>131,415</u>	<u>131,403</u>

ფული და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში არსებულ ანგარიშებზე უცხოური ვალუტის ჩათვლის მათი ეროვნული ბანკის მიერ არსებული გაცვლითი

კურსის შესაბამის ექვივალენტში. იგი ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელოვანეს რისკს.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 3)

	<u>31.12.2024</u>	<u>31.12.2023</u>	<u>31.12.2022</u>
სავაჭრო და მოკლევადიანი მოთხოვნები	875,497	759,753	714,013
გადახდილი ავანსები	683,752	273,078	426,121
სხვა მიმდინარე აქტივები	291,854	147,592	1,042
სულ	1,851,103	1,180,413	1,141,176

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება გარიგების ფასით მათი წარმოშობის მომენტისთვის, უცხოურ ვალუტაში არსებული მოთხოვნა აღიარდება მათი წარმოშობის დღეს არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კომპანია ყველა მომხმარებელთან გაფორმებული აქვს გადაზიდვის მომსახურეობის ხელშეკრულება და მოქმედებს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

გადახდილ ავანსებში ნაგულისხმევია თანხები, რომლებიც გაიცა გარკვეული მომსახურეობის შესრულების მიზნით. ამ მომენტისთვის არ მომხდარა შესასრულებელი მომსახურეობის მიღება, სხვა მიმდინარე აქტივებში გათვალისწინებულია ასევე მომსახურეობისთვის წინასწარ გადახდილი თანხები. რომლის შესრულებაც უნდა მოხდეს ვადის დადგომის დროს.

7. ძირითად საშუალებები (შენიშვნა 1)

გრძელვადიანი აქტივები
ძირითადი საშუალებები

<u>31.12.2024</u>	<u>31.12.2023</u>
<u>82,004</u>	<u>142,296</u>

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათი თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვთის ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების ღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებულ იმპორტის გადასახადის ან სხვა პირადიპირი ხარჯის გათვალისწინებით.

მცირე შეკეთება ან რემონტი გაითვალისწინება მოგება/ზარალის ანგარიშში მისი წარმოშობისთანავე. ყველა აქტივი წარმოდგენილია მისი საწყისი ღირებულებით,

გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით თუ ასეთი შემთხვევა არსებობს.

ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერით მისაღები სარგებელი ან ზარალი აღირიცხება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. მიმდინარე წელს მოხდა ძირითადი საშუალებების რეალიზაცია, რის შედეგადაც მიღებული შემოსავალი/ზარალი აღიარდა მოგება-/ზარალის ანგარიშგებაში.

8. ცვეთა (შენიშვნა 15)

კომპანია არსებულ ძირითად საშუალებებზე იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს, რათა მოხდეს მისი შესყიდვის ხარჯების გადანაწილება მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადაზე. ცვეთა გამოყენებული იქნა იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდშიც ხდებოდა ძირითადი საშუალებების სამეწრემო საქმიანობაში გამოყენება (შენიშვნა. 1)

სასარგებლო მომსახურეობის ვადა (წელი)

სატრანსპორტო საშუალებები	10
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	10
კომპიუტერული ტექნიკა	5
სხვა არამატერიალური აქტივები	7

ნარჩენი ღირებულება არის ის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან. ძირითადი საშუალებების მომსახურეობის ვადა გადაითვლება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები/მარაგები (შენიშვნა 6)

კომპანია ახდენს სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შეძენას მარაგების სახით, რომელსაც მოიხმარს სამეწარმეო საქმიანობაში და ეტაპობრივად ხდება მისი ჩამოწერა მისივე მოხმარების ვადის პერიოდში. აღნიშნული ოპერაციები აისახება მოგება- ზარალის ანგარიშგებაში.

მარაგები

425

10. სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 7)

კომპანიას გააჩნია კრედიტორული დავალიანება მომსახურეობის გამწვევი პირების მიმართ, მათი აღიარება ხდება მათი წარმომადგენლის მომენტისთვის, არარეზიდენტის შემთხვევაში ვალდებულება აღიარდება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, ანგარიშწორება ასევე ხდება შესაბამის ვალუტაში და საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება მოგება/ზარალის ანგარიშში.

<u>მიმდინარე ვალდებულებები</u>	<u>31.12.2024</u>	<u>31.12.2023</u>
<u>სავაჭრო ვალდებულებები</u>	<u>294,556</u>	<u>157,667</u>

11. სახელფასო ვალდებულებები (შენიშვნა 8)

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	<u>31.12.2024</u>
<u>მომსახურე პერსონალის ხელფასები</u>	<u>1,066,368</u>

კომპანიის თანამშრომლებზე სახელფასო ანაზღაურების დარიცხვა ხდება შესაბამის საანგარიშო თვეში, როდესაც ხდება მათი გამომუშავება, ასევე ხდება ბონუსის გაცემის ვალდებულების დადგომა. არის შემთხვევა, როდესაც ვერ ხერხდება სრული სახელფასო ანაზღაურების გაცემა შესაბამის საანგარიშო თვეში. შესაბამისად დარჩენილი ნაწილი აისახება როგორც სახელფასო ვალდებულება თანამშრომლების მიმართ.

	<u>31.12.2024</u>	<u>31.12.2023</u>
<u>სახელფასო ვალდებულებები</u>	<u>0,000</u>	<u>0,00</u>

12. საგადასახადო ვალდებულებები (შენიშვნა 9)

კომპანიას საგადასახადო ვალდებულების სახით ანგარიშის წარდგენის მდგომარეობით უფიქსირდება საბიუჯეტო გადასახადი. კომპანიის საქმიანობის 97% გათავისუფლებულია დღეს გადასახადისგან ჩათვლის უფლებით.

კომპანია ასევე იხდის საშემოსავლო გადასახდს გაცემულ სახელფასო ანაზღაურებაზე მისი გაცემის მომენტში, ასევე ბონუსი ან დამატებითი სარგებლის გაცემის მომენტისთვისაც.

13. გრძელვადიანი ვალდებულებები (შენიშვნა 10, 11, 12)

	31.12.2024	31.12.2023
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	1,522,208	1,071,437
	1,522,208	1,071,437

გრძელვადიანია ვალდებულება, რომლიც აღებულია 12 თვეზე მეტი ვადით. კომპანიას გაფორმებული აქვს სასესხო ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან. ანგარიშის წარდგენის მომენტისთვის კომპანია სარგებლობს სესხით. იგი ყოველთვიურად ახდენს როგორც მისი ძირითადი თანხის დაფარვას და ასევე სესხის პროცენტის ვალდებულების უზრუნველყოფას. (შენიშვნა 10, 11, 12)

გადახდილი ძირი თანხიდან ხდება სესხის თანხის შემცირება, ხოლო პროცენტის ხარჯის ასახვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშში. (შენიშვნა 16).

14. ძირითადი შემოსავალი და საგადასახადო კანონმდებლობა

	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები რეალიზაციიდან	17,555,276	16,562,065
მომსახურეობის თვითღირებულება	15,918,145	15,151,566

შპს „კარგო მარკეტ გრუპ“-ის საქმიანობაა საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვები. გადაზიდვის დასრულების მომენტისათვის ხდება გაწეული მომსახურეობის შესაბამისი ღირებულებით შემოსავალში აღიარება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. ანგარიშწორებაც ასევე ხდება ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით, ამ ოპერაციის გამოწვეული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში.

კომპანიის მიერ გაწეული მომსახურეობის 97% გათავისუფლებულია ღდგ-სგან ჩათვლის უფლებით. სსკ-ის 168 მუხლის მე-4 პუნქტის გ - ქვეპუნქტის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ასრულებს გადაზიდვებს საქართველოს ფარგლებში, მაშინ გაწეული მომსახურეობის დაბეგვრა ხდება დამატებითი ღირებულების გადასახადით.

გაწეული მომსახურების თვითღირებულებაში აღიარდება ყველა ის მიღებული მომსახურობა, რაც გაწეული იქნა ამ მომსახურების სრულად შესრულებისთვის.

15. იჯარის და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები.

	31.12.2024	31.12.2023
იჯარის ხარჯი	69,298	66,205
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	202,000	144,128
იჯარის ხარჯი (შენიშვნა 17)		

კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი ქ. თბილისში, აღ. ყაზბეგის #12 ბ-ში, სადაც იგი ახორციელებს თავის სამეწარმე საქმიანობას. იჯარის თანხის გადახდას იგი ახდენს ყოველთვიურად და შესაბამისად აღნიშნული ხარჯი ასახულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები (შენიშვნა 18)

კომპანიას ასევე გააჩნია ადმინისტრაციული ხარჯები, როგორიცაა კომუნალური, სამეურნეო, კომპიუტერული და სხვა ხარჯები, რომლებიც შესაბამის საანგარიშო პერიოდში არის დარიცხული და ასახულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

16. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

კომპანიას როგორც ზემოთ ვახსენეთ ჰყავს დაკავშირებული კომპანიები, მათთან თანამშრომლობს მხოლოდ სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

17. საადრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები საადრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა, შესადარისი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა საანგარიშო პერიოდის შემდგომ.

18. სხვა შემოსავლები


კომპანიას 2024 წლის საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავალი არ უფიქსირდება.

19. საანგარიშო პერიოდის შემდეგომი არამაკორექტირებელი მოვლენები


მსოფლიოში არსებულმა მდგომარეობამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და ქვეყნის გარკვეულ მაჩვენებლებზე. მომავალზე გაუარესებულმა შეხედულებამ გამოიწვია სავალუტო ბაზრის არამდგრადობა რაც გამოიხატა ლარის გაუფასურებაში დოლართან და ევროსთან მიმართებაში. მიუხედავად არსებული გაურკვევლობისა, საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს სხვადასხვა ზომებს ინდუსტრიაზე და ზოგადად ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, თუმცა ხელმძღვანელობა წინასწარ ვერ ახდენს ამ ზომების შედეგების განსაზღვრას. აღნიშნულმა ფაქტორებმა გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზე და შეაფერხა დაგეგმილი პროექტები, მაგრამ იმედს ვიტოვებთ რომ მომავალში მოხდება მათი განხორციელება.

მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

ხელმომწერი პირები:


ბაბუღია ტალიაშვილი
ფინანსური დირექტორი




თამაზ ზედგინიძე
გენერალური დირექტორი

30 სექტემბერი 2025წ.